№ 125
კვირა, 14 ივნისი, 1898 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 125
კვირა, 14 ივნისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ემმა ჰენრიხის ასული ზუბალაშვილისა, ივანე იაგორას ძე ზუბალაშვილი და კნეინა ანნა იაგორას ასული ჩოლოყაშვილისა აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

ნიკოლოოზ იაგორას ძის ზუბალაშვილის

გვამს მოასვენებენ ტფილისის რკინის გზის სადგურზედ 16 ივნისს, დილის 9 საათზედ, საიდგანაც წამოასვენებენ რომის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში, რომელიც იმყოფება სომხთა ბაზარში და წირვის შემდეგ იქვე დაჰკრძალავენ. (1—100—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზე, ათფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—99—2)

«ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. შრიტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შმაკოვსკი — 6 — 7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ ზაქათალის ოლქის კახის ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, შტაბს-კაპიტანი გველესიანი—ზაქათალის ოლქის უფროსის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ერევნის გუბერნიის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი, პორუჩიკი მანსვეტაშვილი—ზაქათალის ოლქის ჯარო-მუხახის ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ 7 ივნისს ჩაყრილ იქმნა საძირკველი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კავკავის სასწავლებლის ახალის შენობისა და ეკკლესიისა, რომელიც შენდება ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცას დაგვირგვინების დღის სახსოვრად.

⁂ წელს ტფილისის დედათა მე-II გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 36 მოსწავლემ, ამათგან ორმა ქართველმა, სახელდობრ: ოლგა ბადრიძემ და ნინო მირიანაშვილმა.

⁂ ფინანსთა მინისტრმა კვლავ გამოუგზავნა კავკასიის მთავარ-მართებელს განსახილველად პროექტი ტფილისის საკომერციო სასწავლებელისა, რომელიც უნდა დაარსდეს ტფილისის ვაჭართა ფულით. ეს პროექტი ცოტაოდნად შეცვლილი არის.

⁂ ბ-ნ ლალაევის ქვრივს გადაუცია ტფილისის გუბერნატორისათვის ორი ათასი მანათი ტფილისისავე სულით ავადმყოფთა სამკურნალოში ერთის ავადმყოფის შესანახად.

⁂ 13 თიბათვეს ამა წლისა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნული იყო გასასყიდად ტფილისს გარეშე ქალაქის მამულები: ბათუმისა, გორისა და სხვ. სულ გამოცხადებული იყო გაზეთებში 192 მამული. აქედგან ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ ხუთი მამული: ერთი ბათუმისა, ორი გორის, ერთი ქუთაისისა და ერთიც ნუხისა. დანარჩენ მამულებისა გარდასახადი იქმნა შემოტანილი. ვაჭრობაში ჩავარდნილ მამულებიდგან გაიყიდა სამი მამული: ერთი ბათუმისა, ერთი გორისა და ერთიც ქუთაისისა. დარჩა ორი მამული: ერთი გორისა და ერთიც ნუხისა გაისყიდებიან ხელმეორე ვაჭრობით, რომელიც მოხდება 30 თიბათვეს ამა წლისა.

გაყიდულ მამულებზე ითვლებოდა ბანკის ვალი 21.630 მ. 74 კ. ხოლო გაიყიდა 24915 მან. ხელმეორედ გასასყიდ მამულებზე დარჩენილია ბანკის ვალი 6584 მ. 60 კ.

⁂ ხაშურიდგან იწერებიან: აქეთ წვიმებია და ქარი. ისე აცივდა, რომ სურამსა და ქვიშხეთში სააგარაკოდ წამოსულთ არ იციან რა ჰქმნან: ისევ ტფილისს დაბრუნდნენ, თუ აქ მოელოდნენ, ვიდრე დათბება ჴ შიში ასცდებათ გაცივებისა და ამით გამოწვეულ ავადმყოფობისა.

⁂ იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს 3,025 მან. განაწილება შარშანდელის მოუსავლობით დაზარალებულთა შორის, კრება ჰქონდა პარასკევს, 12 ივნისს, და დაადგინა: ტფილისის გუბერნიისათვის გადადებულ იქმნას 1,375 მან. (თელავისა და სიღნაღის მაზრისათვის—800 მან., გორის მაზრის სოფ. რუისისათვის—125 მან., ტფილისისა და დუშეთის მაზრისათვის—400 მან. და თიონეთისათვის—50 მან.); ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრისათვის—100 მან.; განჯის გუბერნიისათვის—700 მან. (ზანგეზურის მაზრისათვის—400 მან. და შუშის მაზრისათვის—300 მან.); ერევნის გუბერნიისათვის—500 მან. (ახალ-ბაიაზეთის მაზრისათვის—350 მან და ნახიჩევანისათვის—150 მან.). და ბაქოს გუბერნიის კუბის მაზრისათვის 350 მან. ფული მალე გაეგზავნებათ სანდო კაცებს და სოფლად დაზარალებულთა შორის ფულის განსანაწილებლად უნდა დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული კომიტეტი, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ადგილობრივმა მღვდელმა, მასწავლებელმა, მამასახლისმა და საზოგადოების მიერ ამორჩეულ კაცთ.

⁂ ამა წლის 28 მაისს ქართველმა ფარმაცევტებმა დააარსეს ტფი-

ფელეტონი

ნაწყვეტი

„ძმობას“, „ერთობას“, „სიყვარულს“
დავუდგათ ტახტი ქებული,
ზედ დავსვათ ერთად სამივე,
ზეგარდმო მადლით ცხებული,
და „შური“, „მტრობა“, „ძულვება“,
ჩვენ შორის გამეფებული,
ძირ-ფესვიანად ამოვფხვრათ,
ღვთისაგან შეჩვენებული.

ვ. რ.

◆ ◆

კათოლიკობა საქართველოში.

პოლონელ გაზეთის „Край“-ს, რომელიც გამოდის პეტერბურგში, მე-17 ნომერში, დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი ზემოხსენებულის სათაურით. მოგვყავს იგი შეუცვლელად.

„როდესაც პოლონელი ანუ რომელიმე ევროპიელი, ტფილისში ყოფნის დროს, შევა კათოლიკეების, ანუ ფრანგების ეკკლესიაში, გააკვირვებს ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე საკურთხეველში სწირავენ ლათინთა მღვდლებიც ლათინურად, სომხები და ქალდეველნიც თავიანთ სამშობლო ენაზედ, იმ ენაზედ, რომელიც დანარჩენ ხალხს არ ესმის. თუმცა უცხო სტუმარს ეტყვიან, რომ ესენი არიან სომხის და ქალდეველთა უნიატები, მაგრამ ამით საქმე არ გამოირკვევა, რადგან მას გაუგონია მხოლოდ რუსთა უნიატები გალიციაში. ამიტომ საჭიროა საქმის ახსნა თავიდგან, ანუ ისტორიულად.

„ქრისტიანობის პირველ საუკუნეში მოციქულნი და მათნი მოწაფენი, ასწავლიდნენ რა სარწმუნოებას ქრისტესას სხვა-და-სხვა ხალხს, სალიტურღიო წიგნებს სწერდნენ იმ ხალხთა ენაზედ, რომელთა შორისაც ავრცელებდნენ ქრისტიანობას. შემდეგში ეს უხერხულად სცნეს, ვინაიდგან ყოველის ხალხის ენა იცვლება დროსა და ჟამის განმავლობაში და სალიტურღიო ენაც ნელ-ნელა გაუგებარი ხდება შთამომავლობისთვის. გარდა ამისა, რაიცა უფრო ყურადსაღებია, სარწმუნოებრივი და ეროვნული ინტერესები ირეოდნენ ერთი-მეორეში. მაგალითებრ, თუ ერთი ერი დაიპყრობდა მეორეს, რომელსაც ჰქონდა თავისს სამშობლო ენაზედ ლიტურღია, მაშინვე გააძევებდნენ ეკკლესიიდგან დაპყრობილ ხალხის ენას და შეიტანდნენ თავისას. შემდეგ საუკუნოებში, როდესაც ლათინური ენა, როგორადაც ენა მკვდარი და უცვლელი, გახდა ენად მეცნიერებისა და დიპლომატიისა და ადვილ გასაგებ ენად ყოველის განათლებულის კაცისათვის, კათოლიკეებმაც იგი ენა შემოიღეს ეკკლესიაში, რათა განეთავის-უფლებინათ ეკკლესია და სარწმუნოება ენის ცვალებადობისაგან, ერთის მხრივ, და ერთა პოლიტიკურ დამოკიდებულებისაგან, მეორეს მხრივ. მაშინ ის ხალხნი კათოლიკეთა სარწმუნოებისა, რომელთაც ჰქონდათ საეკკლესიო წიგნები თავიანთ ძველს სამშობლო ენაზე, იწოდებოდნენ „უნიატებად“. ქრისტიანობის პირველ საუკუნოებიდგან უნიატებად დარჩნენ მხოლოდ: ქალდეველნი სპარსეთში, სომხები და ქართველები მცირე აზიაში და ბოლოს ბერძნები და სლავიანები ევროპაში. ქართველებს მე-VIII საუკუნეში უკვე ჰქონდათ საღმრთო წერილი და ლიტურღია, თარგმნილი სამშობლო ენაზედ. საშუალო საუკუნოებში კათოლიკობა აქ ძლიერ იყო გავრცელებული. დღესაც ჰნახავთ ქუთაისში კათოლიკეთა ეკკლესიის ნანგრევებს, რომელიც ოდესმე აუშენებიათ გენუელებს. უფრო-კი აღყვავებული იყო კათოლიკობა საქართველოში მე-XIV და XV საუკუნოებში, როდესაც ქართველები, დევნილნი სპარსთა და თურქთა მიერ, ეძებდნენ დახმარებას ევროპაში. სწორედ მაშინ ტფილისში იყვნენ დანიშნულნი ერთი მეორის შემდეგ, შვიდი კათოლიკეთა საეპარქიო ეპისკოპოსი. ტფილისშივეა დაცული პირი პაპის ბულლისა, ავინიონიდგან გამოგზავნილისა, რომლითაც განწესებულია ეპისკოპოსი ტფილისის კათედრაზედ. შემდეგ დაუდგა შავი დღეები საქართველოს—განუწყვეტელი ომები სპარსელებთანა და ოსმალებთან. კათოლიკობაც შესუსტდა ჴ 200 წლის წინად საქართველოში იყო-და მხოლოდ რამდენიმე მონასტერი კათოლიკეებისა: იეზუიტები ყარაბაღსა, განჯასა, გუმბრსა და ცხინვალში, დომინიკანების ორდენი ეპისკოპოსით ნახიჩევანში და კაპუცინების ორდენი ტფილისსა, ქუთაისსა და ახალციხეში.

„როდესაც რუსეთის ჯარი პირველად შევიდა საქართველოში, აქ იყოდა მხოლოდ 3 მონასტერი კათოლიკეთა კაპუცინების ორდენისა: ტფილისსა, გორსა და ქუთაისში. მაშინ ზოგიერთი ცვლილება მოხდა. კაპუცინის ორდენის ბერები, რომელთაც არა ჰსურდათ რუსეთის ქვეშევრდომობა, გარდასახლებულ იქმნენ საქართველოდგან. მათი ადგილები დაიჭირეს პოლონელმა პატრებმა, რომელთაც არ იცოდნენ ქართული ენა. ამიტომ ქართული უნია სრულიად

ლისში სავაჭრო ამხანაგობა, რომელსაც ეწოდება: „Закавказское товарищество фармацевтовъ торговли аптекарскими товарами“. (ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობა სააფთიაქო საქონლით ვაჭრობისა“). თავნს ფულს ამხანაგობა პაის შემწეობით ჰკრებს. თითო პაი 50 მან. ჰღირს. წევრს შეუძლიან პაის ფული ნაწილ-ნაწილად შეიტანოს ამ რიგად: ხელის მოწერის დროს შეაქვს 10 მან., ხოლო დანარჩენი ერთის წლის განმავლობაში. ამხანაგობა სთხოვს ყველა მსურველს წევრად ჩაეწეროს. არ შეგვიძლიან სიხარულით არ მივეგებოთ ამ ამხანაგობას და ბედნიერი და ნაყოფიერი მომავალი არ ვუსურვოთ.

მსურველთ ამ ადრესით უნდა მიჰმართონ ამხანაგობას: „Тифлисъ. „Общество Распространенія грамотности среди грузинъ Давиду георгіевичу Каричашвили.

⁂ „არტისტთა საზოგადოებისათვის“ სადგურისა და თეატრის აშენების პროექტის შედგენა გარდაეცა ხუროთ-მოძღვარს ბ-ნ ტატიშჩევს. თეატრი და სადგური უნდა აშენდეს ძმათა რეიტერებისაგან ნაყიდ მამულში. ორსავე შენობისათვის უნდა გადასდონ 460.000 მანათი.

⁂ წრეულს თითქმის მთელი კახეთი შეუდგა ვენახების წამლობას. სიღნაღის მაზრაში უკვე პირველად უწამლეს ვაზს. იგივეა თელავის მაზრაშიაც. ვაჭრების მიერ მოტანილი ვერმორელის მანქანები და შაბიამანი არა ჰყოფნის ხალხს. ძლიერ ბევრსა ჰშველის მევენახეებს ბ-ნ გუბერნატორის მიერ დაარსებული საწყობი მანქანებისა და წამლებისა. აგრეთვე ეხმარებიან რჩევა-დარიგებით მევენახეებს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის აგენტები. („კავკ.“)

⁂ სოფ. მეტეხი, (ქართლი). თელეთობას სალოცავად სხვათა შორის გაემგზავრა აქაური გლეხი მიხეილ გეჯაძე, რომელმაც ილოცა რა თელეთში, გადავიდა სალოცავად შავნაბადის ეკკლესიის გალავანში. მეორე დღეს ამდგარან თუ არა, მაფრაშაში ორი კარგა მოზრდილი გველი უნახავთ და წივილ-კივილი შესდგომია გეჯაძის ცოლ-შვილს. მიხეილ გეჯაძე მაშინვე დატრიალებულა და, როგორც ყოფილა, მოუკლავს გველი. დაბრუნდნენ უკან მეტეხში იმ იმედით, რომ ვილოცეთ და ახლა აღარა გვიშავს-რა, როგორც იქმნება, კარგად წავიყვანთ ჩვენს საქმესაო. სახლში მისვლისათანავე-კი ორი შვილი, შვიდის წლისა და ხუთისა, ავად გახდნენ და ერთი ერთს დღეს გარდაიცვალა და მეორე—მეორე დღეს. მამამ არც აცივა, არც აცხელა და მკითხავთან მოჰკურცხლა, უნდა უსაუოდ გავიგო, რად მომივიდა ეს უბედურებაო, და მკითხავმაც დაუკმაყოფილა გეჯაძეს სურვილი. შენ რომ ორი გველი მოჰკალი შავ-ნაბადაში, სჯავრობს წმ. გიორგიო, მე ორი შვილი მოგიკალი და უფრო უარესი დღე დაგადგება, თუ ზარალს არ ამინაზღაურებ და საბადლო გველებს არ მოიყვან შავ ნაბადაშიო. გეჯაძემაც მკითხავის ბრძანების სისრულეში მოსაყვანად ბევრი იარა, ბევრი ეწვალა და მაინც ვერსად ვერ დაიჭირა ორი გველი. მაშინ ადგა და ისევ მკითხავს მიჰმართა. მკითხავმაც მოახსენა, რომ ჩადი ქალაქში, იქ შუშის ქილებში ჰყავთ გველები, იყიდე ორი და შავ-ნაბადასთან გაუშვიო. რასაკვირველია, გეჯაძე ეცდება და აასრულებს მკითხავის რჩევას, რადგან მაშინ თუ დაიხსნის თავს კიდევ მოსალოდნელ უბედურებისაგან, თორემ სხვა რაღა გზა დარჩენია. აი, ბატონებო, ჩვენის სოფლის ხალხის ბატონი და პატრონი ვინ გახლავთ და ვინ განაგებს მათს ბედ-იღბალს!..

⁂ 6 ივნისს მე-6 ნაწილში მტკვარზედ ჩავიდა წყლის მოსატანად ტფილისის მაზრის სოფ. სამგერეთის მცხოვრებელის 10 წლის ბავშვი. წყალში ჩავარდა გაუფრთხილებლობისა გამო და დაირჩო. დამრჩვალის გვამი ჯერაც ვერ უპოვიათ.

⁂ 12 ივნისს მე-9 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა სტავრაკოვის ქვრივმა ანნამ, რომ ჩემმა მოსამსახურემ, რაჭის მაზრის სოფ. ბრავალძეულის მცხოვრებელმა 13 წლის. რამაზ გიორგის ძე სხირტლაძემ ჩუმად აიღო ჩემის შვილის რევოლვერი სტოლიდგან და წვალება დაუწყოო. უცებ რევოლვერი გაუვარდა და ტყვიამ მარცხენა ხელის სალოკი თითი დაუშავაო.

⁂ სოფელ ახალშენის მცხოვრებელი გლეხი ივანაშვილი მოუწამლავს თავისს ცოლს ივანაშვილი მინდვრად ყოფილა; ცოლს ქოთნით მიუტანია ლობიო. ივანაშვილს უსადილია და ორის საათის შემდეგ გარდაცვლილა. სურამიდგან მოწვეულმა მკურნალმა შეამოწმა, რომ ივანაშვილი მოუწამლავთო.

—

შეცდომის გასწორება. „ივერიის“ გუშინდელ ნომრის მეორე ახალ ამბავში შეცდომით არის დაბეჭდილი: „წიგნში პროფესორს ერთა ეთნოგრაფიულად დაყოფვის საბუთად მიაჩნია გონების სხვადასხვაობა“, უნდა იყოს: „ენების სხვადასხვაობა“.

ყრმათა დღესასწაული ქუთაისში

9 ივნისი

კარგა ხანია აქაური ახალგაზდა მასწავლებლები სცდილობდნენ გაემართათ ყრმათათვის იმ გვარი დღესასწაული, როგორიც გაჰმართა ამას წინათ ტფილისის მასწავლებელთა საზოგადოებამ, მაგრამ შესაფერის ადგილის უქონლობისა გამო აქამდის ეს ფრიად მშვენიერი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. ბოლოს მასწავლებლებმა მიჰმართეს პატივცემულ ა. ს. მამონტოვს, აქაურის რეალურ სასწავლებლის დირექტორს, და სთხოვეს დაეთმო ამისთვის სასწავლებლის ეზო. ბ-ნი მამონტოვი დიდის თანაგრძნობით მიეგება ამ აზრს და ყოველ-ნაირ დახმარებას დაჰპირდა, ოღონდ მალე მოეყვანათ სისრულეში ეს თანასაგრძნობი განზრახვა. ამისთანა თანაგრძნობით გამხნევებულმა მასწავლებლებმა მართლაც მალე განახორციელეს თავიანთი აზრი: შეადგინეს გეგმა დღესასწაულისა, დაჰბეჭდეს პროგრამმა და დანიშნეს სადღესასწაულო დღედ 7 ივნისი, მაგრამ ამ დღეს ცუდმა დარმა ხელი შეუშალა და დღესასწაული გადიდო 9 ივნისისათვის. ამ დღეს-კი ნამდვილი სადღესასწაულო დარი დადგა. რეალურის სასწავლებლის დიდი ეზო, სადაც თავისუფლად შეუძლიან ითამაშოს ათასმა ყმაწვილმა, ამ დღეს საუცხოვოდ იყო მორთული. ალაყაფის დიდი კარი შემკული იყო მწვანით, ეზოს გალავანზედ ყოველ მხრივ ჰფრიალებდა მრავალი სამ ფეროვანი ალამი, შესასვლელ კარებთან ეწყო პატარ-პატარა სხვა-და-სხვა ფერის ალმები, რომელნიც შემოსვლის დროს ეძლეოდათ ყმაწვილებს წლოვანების შესაფერად; შვიდის წლისას მტრედის ფერი, რვა წლისას—ვარდის ფერი, ცხრა წლისას—მწვანე და სხ. მთელი ეზო გაყოფილი იყო თოთხმეტ ოთხ-კუთხედად; თითოეულ ოთხ-კუთხედში ჰფრიალებდა ერთის რომელისამე ფერის ალამი. მიიღებდა თუ არა ყმაწვილი ალამს, მირბოდა იმ ოთხ-კუთხედისაკენ, სადაც ჰფრიალებდა მისის ალმის მსგავსი დიდი ალამი. აქ მათ ხვდებოდნენ მასწავლებელი ქალები და კაცები, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ყმაწვილებს თამაშობის დროს.

ნაშუადღევის მეხუთე საათის ნახევარზედ მოვიდა მუსიკა და „მარში“ დაუკრა. ყმაწვილები დამწკრივდნენ წყვილ-წყვილად თავ-თავიანთ ოთხკუთხედებში, შემდეგ სუყველანი შეერთდნენ და ერთად ჩაიარეს მთელი ეზო. საუცხოვო სანახავი იყო ეს სურათი: ხუთასამდის ყმაწვილმა, რომელთაც ხელში სხვა და სხვა ფერის პატარა ალმები ეჭირათ, რავდენჯერმე ჩაიარეს მაყურებლების და მშობლების წინ; ყოველ ჯგუფს გვერდზედ მისდევდნენ ხელმძღვანელი მასწავლებელი ქალები და კაცები; მთელი ეს დიდებული კრება პატარა ყრმათა, საუცხოვოდ დართულთა, მოგაგონებდათ რაღაც ანგელოზთა გუნდს, რომელიც თქვენს თვალს მშვენიერებით იტაცებდა და, გულს სიამოვნებით გიტოკებდათ. შემდეგ ყველა ჯგუფმა თავისი მიჩენილი ადგილი დაიჭირა და თამაშობა დაიწყო. თამაშობამ ძალიან გაიტაცა ყმაწვილები, რადგან ერთს თამაშობას მეორე მოსდევდა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე ასე, რომ ყმაწვილებს დაღალობა სრულიად არ უგრძვნიათ. თამაშობამ ოთხს საათს გასტანა. რეზინის ბურთი, სერსო, დიდრონი რკინის რგოლები, საქანელა, კეგლი, მიზანში სროლა და სხვა მრავალი სათამაშო ერთი მეორეს უთმობდა ადგილს. აქვე დაარბენინებდნენ სახედრები პატარ-პატარა ფაეტონებს, რომელშიაც სხდებოდნენ ყმაწვილები და დასეირნობდნენ. სულ მცირე წლოვან ყრმათათვის ზღვიდგან მოეტანინებინათ რავდენიმე ტომარა წმინდა კენჭები და ქვიშა, რომელიც ყმაწვილებს პატარ-პატარა თოხებით, ნიჩბებით და ხელით გაჰქონდ-გამოჰქონდათ აქეთ-იქით. ეზოშივე დიდრონ მუხების ჩრდილში გამართული იყო ყმაწვილებისათვის ბუფეტი, სადაც სულ მცირედ ფასად იყიდებოდა საჭმელ-სასმელი და ხილი. შებინდების დროს აუშვეს სხვა-და-სხვა ნაირი შუშხუნები, რომლებიც თვალუწვდენელს სიმაღლემდის მიდიოდა, იქ სკდებოდა და სხვა-და-სხვა სახით აქეთ-იქით იფანტებოდა. ერთის სიტყვით მოთავეები ამ საქმისა ცდილიყვნენ მეტი სიამოვნება ეჩვენებინათ ყმაწვილებისთვის და ამ ცდამ ამაოდ არ ჩაუარათ. ყმაწვილები დიდად ნასიამოვნები საღამოს ცხრა საათზედ დაიშალნენ. ამ დღესასწაულს მრავალს მშობლებს გარდა დაესწრნენ აქაური გიმნაზიის დირექტორი ო. ო. ჩებიში, და რეალურ სასწავ. დირექტორი ა. ს. მამონტოვი და საერო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი პ. ი. სავიჩი.

იმედი გვაქვს, რომ ყმაწვილებისათვის ეს მშვენიერი დროს გატარება უკანასკნელი არ იქნება; მომავალ შემოდგომას, როცა კი დარი ხელს შეუწყობს, ამ საქმის მოთავენი აპირებენ კიდევ რამდენჯერმე გამართონ ეს მართლადა სასარგებლო და საჭირო დღესასწაული ყრმათათვის. აქ საჭიროდ ვთვლით მადლობა გამოვუცხადოთ ქ-ნს ნაზაროვისას, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამ საქმის მოსაწყობად.

Z.

ამერიკულ ბამბის გამო ჩვენში

(წერილი სამეგრელოდგან)

როგორც ამ დღეებში „ივერიის“ მე-117 №-ში იყო მოხსენებული, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით დაბეჭდილია რუსულსა და ქართულს ენაზედ წიგნაკი: „ამერიკული ბამბა და მისი მოშენება ამიერ კავკასიაში“, მოკლე დარიგება ნ. პ. ტარატინოვისა. ქართულად თარგმნილი ი. მაჭავარიანისა. ხოლო წიგნაკი ესე ხალხს უფასოდ ურიგდებაო. მკითხველებს კარგად მოეხსენება, რომ მთელს საქართველოში ბამბა მარტო იმერეთის მხარეში უფ-

---

გაუქმებულ იქმნა და ერთხანს მთელს საქართველოში იყო-და მხოლოდ ერთი პატერი ქართველი ფრანგთაგანი. მაშინვე სომეხ-უნიატებს დაჰრთეს ნება გადმოსახლებულიყვნენ საქართველოში არზრუმიდგან და ოსმალეთის სხვა ადგილებიდგანაც. გადმოსულთ თან მოჰყვნენ თავიანთი პატრებიც და დაიჭირეს ადგილები ტფილისის გუბერნიაში, ქართველ კათოლიკეების მეზობლად. ხოლო რადგან ქართველებს აღარ ჰყავდათ თავიანთი პატრები, ამიტომ ქართველ-კათოლიკეების მრევლშიაც შეტანილ იქმნა სომხური უნიატობა. იმისდა მიუხედავად, რომ ქართველ კათოლიკეებს ეს გარემოება ძალიანა სწყინთ, ასეთი წესი არსებობს უკვე აგერ რამდენიმე ათი წელიწადია ახალციხის მაზრაში. რასაკვირველია, ხანთა განმავლობაში სომხებმა ისწავლეს ქართული, ქართველებმა კიდევ სომხური... და აი კიდეც ეს გარემოება დაიხვიეს ხელზედ სომხის პატრებმა და დაიწყეს ქადაგება, რომ აქ აღარ არიან ქართველი-კათოლიკები, რომ აქაური ფრანგები სულ სომხები არიანო.

„განვიხილოთ მაშ დამოკიდებულება სომეხ-უნიატებისა ქართველ ფრანგებთან. როდესაც სომეხი-უნიატი დასახლდება ტფილისში, ანუ ქუთაისში, სადაც ეკკლესიაში ლათინური წირვაა, იგი მალე სწავლობს ქართულს, დიდის სიამოვნებით იღებს ლათინურს წესს, ხოლო მისი შვილები ქართველები ხდებიან და სომხური ენა აღარ იციან. ესეც არა კმარა. ასეთი სომეხი იწყენს დიდად, თუ სომეხი-უნიატი უწოდეთ. იგი უარს ჰყოფს თავისს ხალხოსნობას, თავისს სამშობლო ენას იმისთვის, რომ ითვლებოდეს ლათინურის წესის კათოლიკედ.

„როდესაც რუსეთმა შემოიერთა ბათუმი, ართვინი, არდანუჯი და არდაგანი, ჰპოვა აქ მთელი ეპარქია სომეხ-უნიატებისა თავიანთის ეპისკოპოსით, რომელიც დამოკიდებულ იყო კონსტანტინეპოლის კათოლიკეთა პატრიარქისაგან. იქაური სომხები ჰლაპარაკობენ რაღაც გაუგებარ სომხურ ენაზედ, რომელიც არეულია და აჭრელებულია ქართულის სიტყვებით და, რაიცა უფრო გაუგებარია, განიყოფებიან ორ დასად, რომელთა შორის მტრობა და შუღლია ჩამოვარდნილი, თუმცა სასულიერო წოდება ერთი და იგივე ჰყავთ. რა აღმოჩნდა? როდესაც მე-XI საუკუნეში გაუქმებულ იქმნა ოსმალთა მიერ „ანის“ სამეფო, მდებარე გუმბრის სიახლოვეს, მაშინ ერთი ნაწილი მცხოვრებთა გარდასახლდა კამენეც-პოდოლსკში და იქ ჟამთა განმავლობაში გაპოლონელდა; მეორე ნაწილი გარდასახლდა ართვინში, სადაც ჰპოვა ქართველი კათოლიკობა ლათინის წესისა. რადგან რიცხვით მოსული სომხები აღემატებოდნენ ბინადარ ქართველ-კათოლიკებს, აირივნენ ერთმანეთში და, ლათინთა პატრების არყოფნის გამო, სომეხ-უნიატების სამღვდელოებამ დაიჭირა მთელი ეს მხარე. იმისდა მიუხედავად, რომ სომეხ-ქართველნი აირივნენ ერთმანეთში, მათ შორის დარჩა მტრობა და შუღლი. გასომხებულ ქართველებს ვერ დაუვიწყიათ, რომ ისინი ერთ დროს ყოფილან ქართველები, კათოლიკენი ლათინურ წესისა.

ერთი თავისებური გარემოებაც. საქართველოში მოგზაურობის დროს ერთხელ მე შევედი სომხის სოფელ „შახნაზარში“, რათა ახლო დავკვირვებოდი იქაურ კათოლიკე-უნიატებს. პატრმა უნიატმა იცოდა ცოტაოდენი რუსული და გაველაპარაკე. როდესაც შევიმოსე და დავიწყე წირვა ლათინურის წესით, დამწრეთ, მეტადრე უნიატებმა, ძალიან გაიკვირეს ეს ახალი, მათ მიერ არ გაგონილი წირვა.

ხოლო როდესაც მღვდელმა აუხსნა, რომ, სომხურ წესის გარდა არის წესი ლათინურიც, რომელსაც ჰხმარობენ თვით პაპი და კათოლიკობა მთელის ქვეყნისა, რათა დაცულ იყოს წმიდად ერთგვარობა და უცვლელობა სარწმუნოებისა, ხალხმა დიდის ყურადღებით მოისმინა ჩემი წირვა. ბოლოს ერთი ერის კაცი მღვდლის შემწეობით შემომეკითხა: რატომ ჩვენი მღვდლებიც ლათინურად არა სწირავენო?

„თავისის მარტივის ჭკუით მან გაიგო, რომ ლათინობა უფრო მკვიდრად აკავშირებს კათოლიკეებს ევროპასთან.

უნდა ვთქვათ, რომ სომეხ-უნიატ-მღვდლებს ძალიან ხელს აძლევს დაამტკიცონ, რომ ქართველი-ფრანგები არ არსებობენ, არიან მხოლოდ და მარტო სომეხი-ფრანგები. ეს რწმენა მათთვის უფრო ხელ-საყრელი გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოში იწყეს ჩამოსვლა პოლონელთაც.

„ამ ჟამად ინტელიგენტნი პოლონელნი, რომელნიც სცხოვრობენ გუმბრსა, ყარსსა, ახალციხესა და, ცოტა ხნის წინად, ბათუმშიაც, თავიანთ სულიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იძულებულნი არიან მიჰმართონ ხოლმე სომეხ-უნიატებს, რომლებსაც ძლივს გაუგონებს კაცი რუსულს. სომეხ-უნიატების მღვდლები თავიანთ წესით ჰნათლა-

რო მეტად მოდის, ვიდრე ქართლ-კახეთში, რადგანაც იქაურს სიცივეებს ბამბა ადვილად ვერ იტანს. ხოლო ბამბა ჰხარობს თბილს ადგილებში და მოსავალსაც უხვს იძლევა. უკეთუ ბამბა იმერეთში კარგად იხეირებს, ვიდრე სხვაგან, ამას არც სამეგრელო ჩამოურჩება, რადგანაც იმერეთზედ ნაკლები თბილი ჰაერი და ნიადაგის სიპოხიერე არც სამეგრელოშია.

სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ამერიკულ ბამბის რიგიანი თესვა-მოყვანა ჩვენმა ხალხმა არ იცის, თორემ, დარწმუნებულნი ვართ, რომ ამერიკულ ბამბის თესვა ერთი ათად გავრცელდებოდა სამეგრელოში. ხალხიც დაივიწყებდა ჩვენებურს ბამბის თესვა-მოყვანას, რომელსაც არც გასავალი და ბაზარი აქვს და არც იმდენად ხელსაყრელია იგი. ხოლო ამის ნაცვლად შემოვიდოდა ამერიკულ ბამბის მოყვანა. უწინ ჩვენი მეაბრეშუმე ქალები ცალის თვალით უყურებდნენ სხვა ჯურის აბრეშუმის ჭიის თესლსა და უსასყიდლოდ რომ შეგეძლიათ, არ აიღებდნენ, რადგან მიჩვეულნი იყვნენ ძველებურის აბრეშუმის ჭიის თესლსა, მაგრამ დღეს-კი ყველა დარწმუნდა, რომ სხვა ჯურის თესლი უფრო სარფაა. წიგნებიც აქვთ ამისა და როგორც დარიგებაში სწერია, ისე უვლიან. ამიტომაც არის, რომ უტყუარად მოჰყავთ... ამიტომ იმედია, ვისიც ჯერ არს, სახეში ეყოლება სამეგრელო და აქაც გამოგზავნიან ხალხში დასარიგებლად ხსენებულის ბამბის დარიგების წიგნაკებსა.

ტრიფონ კალანდარიშვილი

დაბა ძ სოფელი

(მოწერილი ამბები)

დ. ცხინვალი, 6 ივნისი. არა ერთხელ და ორჯელ თქმულა და დაწერილა დ. ცხინვალის ჩაუქობა, თითქმის მოჰბეზრდა ხალხს მათი სიგლახაკე, მაგრამ რას იზამთ?!.. ჩვენთვისაც რომ მოენიჭებინა ბუნებას ყინულივით ცივი გული, გასალდეკებული, რასაკვირველია, ხმასაც არ ამოვიღებდით, მაგრამ, მაგარი ის გახლავთ რომ იმ დროს, როდესაც ყოველი ჩვენგანი უნდა სცდილობდეს წინ-სვლას, წარმატებას, ჩვენი დ. ცხინვალელები, როგორც მოგახსენეთ ამას წინადაც, მიისწრაფვიან უმეცრებისაკენ!.. სხვაგან ბატონო, უცხო გადაკარგულს ქვეყნებში, მივარდნილ დაბა სოფლებში, თითქმის გამოფხიზლდა ხალხი, გაახილა თვალი და ყოვლის ღონით სცდილობს ჩაერიოს საერო ფერხულში, აარსებენ სამკითხველოებს, სკოლებს, სხვა-და-სხვა სასარგებლო დაწესებულებათ, ამხანაგობას და ცხინვალელები-კი ბოლოს უღებენ იმასაც, რაც უკვე დაწესებული და გაკეთებული იყო მადლიანის ადამიანის წყალობით. მაგალითად, ბ-ნ გუგუშვილის მეცადინეობითა და წყალობით გაკეთდა მშვენიერი როტონდა ბაღით, სცენით, სადაც მოთავსებული გახლდათ სამკითხველო-წიგნთ-საცავიც, რომელსაც სხვათა მრავალთა შორის როტონდის კურთხევის დროს აწ განსვენებულმა ჩვენმა დაუვიწყარმა მამულიშვილმა ალექსანდრე ყორინაშვილმა შესწირა ძვირფასი წიგნება: „ვეფხის ტყაოსანი“ ძვირფასი გამოცემა, „ქადაგებანი“ გაბრიელ ეპისკოპოსისა, „ნარკვევი“, „საქართველოს ისტორია“ დ. ბაქრაძისა, „ისტორია ვახუშტისა“ და სხვა მრავალი ამისთანა ღირებული არა ნაკლებ ხუთის თუმნისა. მერე როგორ მიეგებნენ ამისთანა შემწირველის გარდაცვალებას ცხინვალელი მეთაურნი?!. არც როგორ! მისთვის სულ ერთია, იყო და აღარ არის! იმათთვის რა დიდი ბედნაა, რომ ერთი მოღვაწე დაგვაკლდა?!..

დიას, ცხინვალელი მოწინავენი და ინტელიგენტნი სხვანაირად, თავიანთებურად დაუხვდნენ საზოგადო მშრომელის სიკვდილს. როტონდა აშენებული სასარგებლო განზრახვით გადააქციეს საქეიფო და საყომარბაზო ადგილად; გამართა აქაურმა ინტელიგენციამ ეს რედ-წოდებული „პიკნიკი“, სადაც ითამაშეს, ილაღობეს, ისუნტრუცეს, იკისკისეს, შექცნენ, იქეიფეს, გააჩაღეს ბანქოს თამაში, დღეს ძალიან გახშირებული „კერტუშკა-ასონასი“, გაჰქონდა და გამოჰქონდა ბზრიალ-ჩხრიალ-შრიალა ფული!.. ვინ იცის რამდენის ნაწვავ-ნადაგი ფული გადადიოდა ერთის ხელიდან მეორეს ხელში!..

ბატონო, რა ეს, რა სხვა, რომელი ერთი უწეს-რიგობა ჩამოვთვალოთ?! აიღეთ, თუ გნებავთ, აქაური პურის მცხობელთა თავ-გასულობა. განა ადამიანს ეჭმევა იმათი გამომცხვარი პური?!. ცომი, შავი, მყავე და ტლანქი. განა ცოტაჯერ გვითქვამს, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი?!.

რაც შეეხება აქაურს ახალგაზდობას, ღმერთმა შეინახოს. ამაზედ უსიცოცხლო, უხალისო, უშინაარსო და უსაფუძვლო ადამიანურს ყოფა-ქცევაში არ გვეგულება, რომ იყოს სადმე. იცოცხლეთ, მარდნი არიან უმნიშვნელო დროს გატარებაში.

ვინც გგონივართ, ის არა ვარ?!

რუსეთი

საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყოველ საშუალო სასწავლებელში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული საამღზრდელო-სასანიტარო კომისია, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სასწავლებლის მკურნალმა და ორმა მასწავლებელმა ინსპექტორის თავმჯდომარეობით. კომისიამ უნდა თვალ-ყური ადევნოს სასწავლებლის მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და საერთოდ სასწავლებლის სანიტარულ ყოფა მდგომარეობას. კომისიამვე უნდა ადევნოს თვალ-ყური გარედგან მოსიარულე მოსწავლეთა სადგომებს და სასწავლებელში სხვა და-სხვა გართობა-თამაშობის სწავლების საქმეს.

— მომავალ სამოსწავლო წლიდგან დიდი ყურადღება ექმნება მიქცეული ხელოსნობის სწავლების საქმეს სამასწავლებლო სემინარიებში. ამ აზრით გადადებულ იქმნება სახელოსნოებში სამუშაოდ დანიშნული დრო.

— წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა 55 კაცმა.

— პეტერბურგის ხელოსანთ განზრახვა აქვთ ისეთი სახელოსნო კლუბი დააარსონ, საიდგანაც განდევნილ იქმნება ქაღალდის თამაშობა და მაგარი სასმელები. კლუბის წესდება უკვე შეუმუშავებია და შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს ცენტრალი თესლეულობის საწყობი დააარსოს რამდენისამე განყოფილებით.

უცხოეთი

გერმანია. ბრძოლა მარტო ამერიკისა და ესპანიის შორის არ არის ატეხილი. გაცხარებული შინაური ბრძოლაა ამ ჟამად გერმანიასა, საფრანგეთსა და ავსტრიაშიაც. გერმანიაში, მაგალითად, პარლამენტის არჩევნების გამო, ეს შინაური ბრძოლა დღითი-დღე უფრო მწვავდება. მართალია, დასებს შორის ბრძოლა არჩევნების დროს ყოველთვის ყოფილა, მაგრამ ისეთი, როგორიც დღეს არის—არასოდეს. გერმანიის დასები დღეს მხოლოდ ერთს საზოგადო მტერს ებრძოლებიან—სოციალ დემოკრატებს. ჟურნალ-გაზეთებში, თუ სიტყვიერად ყველანი იმას გაიძახიან, რომ სახელმწიფო დაიღუპება, თუ სოციალ-დემოკრატების გაძლიერებას ხელი არ შეუშალეთ და არ გეცადეთ იმათ განადგურებასაო. მაგრამ მათი მეცადინეობა უნაყოფოდ რჩება, რადგანაც არც ერთი დასი გერმანიაში არა ძლიერდება ისე, როგორც სოციალ-დემოკრატთა დასი. ამ დასს შარშან პარლამენტში მხოლოდ 47 დეპუტატი ჰყავდა, დღეს-კი მათი რიცხვი 84 ავიდა. რასაკვირველია, ასეთი გაძლიერება იმ დასისა, რომელიც წინააღმდეგია სახელმწიფოს აწინდელის წესწყობილებისა, სასიამოვნო არ იქმნება სხვა დასებისათვის და კიდეც ამიტომ ამ უკანასკნელთ დღე და ღამ ჯავრისაგან არა სძინავთ. გარდა იმისა, რომ სოციალ-დემოკრატთა დასმა მრავალი ადგილი შეიძინა პარლამენტში, იგი თითქმის ყველა სხვა დასზედ უფრო გაწესრიგებული და მოწყობილია: ასეთის ერთობით და თანხმობით არც ერთი დასი არა მოქმედებს. გაზეთები ამბობენ, რომ გერმანიის ახალ პარლამენტში სოციალისტებს თითქმის პირველი ადგილი ეჭირებათ, უიმათ დასტუროდ არც ერთი საგანი არ გადასწყდებაო.

—

ავსტრია. არა ნაკლები ბრძოლაა ამ ჟამად ავსტრიაშიაც. ნემცებისა და სლოვიანთა შერიგებას არამც თუ არაფერი ეშველა, არამედ მათ შორის ატეხილი უთანხმოება ერთი ორად და სამად უფრო გამწვავდა. ნემცები უწინდელზედ თხოულობენ გაუქმებულ იქმნას ბადენის განკარგულება ენების შესახებ და საზოგადოდ ნემცები ავსტრიის ბატონებად იქმნან აღიარებულნი, ხოლო სლოვიანებმა, უმთავრესად ჩეხებმა, მტკიცედ გადასწყვიტეს არამც თუ არ დაუთმონ ნემცებს, არამედ ეცადნენ ავსტრია ფედერატიულ სახელმწიფოდ გარდაჰქმნან ე. ი. ისეთ სახელმწიფოდ, სადაც ყველა ერს ერთნაირი უფლება ჰქონდეს მინიჭებული და ყველას თავისი შინაური საქმეების მართვა გამგეობა თვით შეეძლოს. გაზეთები იუწყებიან, რომ მინისტრ-პრეზიდენტს ტუნს ყოველივე შრომამ და მეცადინეობამ უქმად ჩაიარა და დღეს არა ხვალ ეს მინისტრ-პრეზიდენტიც ფარ-ხმალს დაჰყრის და სამსახურს თავს გაანებებსო.

ნაკვესი

დიოგენსა ჰკითხეს:

— მოწყალებას უფრო სიამოვნებით გლახაკს რად აძლევენ, ვიდრე ფილოსოფოსს?

— ეგ იმიტომაო, უპასუხა დიოგენმა, რომ შეიძლება ყველა ადვილად გაღარიბდეს და გაგლახაკდეს, იმას-კი, რომ ფილოსოფოსად არავინ გახდება, ყველა დარწმუნებულიაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭიროა წესიერი ცხოვრება და ზომიერება სმა-ჭამაში, ძილში, მუშაობაში. როგორ უნდა იცხოვროს კაცმა—ამას გვასწავლის ჰიგიენა და ამბობს, რომ უპირველესი და უმთავრესი მნიშვნელობა დიდის ხნის სიცოცხლისათვის წესიერს ცხოვრებასა აქვსო. ჰიგიენა მოითხოვს, რომ კაცმა ამ გვარად გაატაროს ყოველივე დღე.

ვინც წესიერად სცხოვრობს, ის მიჩვეულია ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს გამოღვიძებას და გაიღვიძებს-რა, იმ წამსვე ადგება საწოლიდგან. მეცნიერმა ჰიპელმა სთქვა: „თუ კაცი იმ წამსვე არ ადგა საწოლიდგან, რა წამსაც გაიღვიძა, ეს იმასა ნიშნავს, რომ არ ესმის თვით ბუნების მიერ რჩევა-დარიგება. ხელ-მეორედ დაძინება სრულიად არ შეჰფერის ნამდვილს კაცს“. შემდეგ ცივის წყალით დაიბანს პირსა და

ვენ ბავშვებს, აღსარებას ათქმევინებენ და აქორწინებენ. პოლონელთათვის ეს ხელ-საყრელი არ არის, ხოლო სომეხ-უნიატებისთვის-კი ძალიან სასარგებლოა, რადგან იძენენ განათლებულ მრევლს, რომელნიც იძლევიან მეტს შემოსავალს, ვიდრე თავიანთი სომხები.

„როდესაც ბათუმში დანიშნეს მღვდლად ქართველი, კათოლიკე ლათინის წესისა, უცხო ქვეყნის საელჩოებისა და პოლონელთათვის, სომეხ-უნიატების მღვდელი სცდილობდა და ყოველს ღონესა ჰხმარობდა, რომ ქართველი არ დაენიშნათ. ეხლა ბათუმში მცხოვრებ ევროპიელთ აქვთ თავიანთი ეკკლესია და ჰყავთ საკუთარი კსენდზი.

ამნაირსავე უსიამოვნებას გამოაცხადებენ სომეხი-უნიატები გუმბრსა და ყარსში, უკეთუ იქ დანიშნავდენ ლათინის მღვდლებს. ამ უნიატებს ძველი კათოლიკეთა ქართული ეკკლესია ქ. ტფილისში მუდამ ჟამს თავისკენ იზიდავდა. უნდოდათ ჩაეგდოთ ხელში ეს მთავარი ტაძარი თავისის მდიდარის მრევლით და დაეარსებინათ სომხური კათედრა ტფილისში. ამ განზრახვითა და მისწრაფებით აღჭურვილნი, ისინი, ფაქტებისა და ისტორიის მიუხედავად, უმტკიცებდნენ ყველას, რომ ქართველი-კათოლიკეები არ არსებობენო. სცდილობდნენ ეს აზრი უმაღლესის მთავრობისათვისაც ჩაეგონებინათ. დიდის ხნის ცდის შემდეგ თითქმის მიაღწიეს საწადელს. ოთხის წლის წინად გამოვიდა ბრძანება პეტერბურგის კათოლიკეთა კოლლეგიისა სარატოვის კონსისტორიის საშუალებით, რომლის ძალითაც აიკრძალა დამატებული წირვა ქართულ ენაზედ საქართველოს საკათოლიკო ეკკლესიებში. განზრახულიც იყო საქართველოს კათოლიკეთა ეკკლესიები გარდაეცათ სომეხ-უნიატებისათვის. ამან ძალიან ატკინა გული ქართველ-კათოლიკეებს. ქადაგება და დამატებული ქართული წირვა მოისპო. ტფილისის ძველ ქართულ საკათოლიკო ტაძარში დღეს ქართველები იძულებულნი არიან ლოცვები პოლონურ ენაზედ იგალობონ. ხოლო სოფლებში, სომხურ ლიტურღიის შემდეგ, ღვდლები—უნიატები იძულებულნი არიან უკითხონ ხალხს ლოცვები თათრულად (ოსმალურად) და არამცა და არამც სომხურად. ასე დიდია სიძულილი ხალხისა სომხურ უნიის მიმართ.

„ახლა იბადება საკითხი, სომეხ-უნიატები რად უერთდებიან ისეთის სიამოვნებით რომის კათოლიკობას, უარსა ჰყოფენ თავისს სამშობლო ენას და სწავლობენ ქართულს. აგრეთვე, რითი აიხსნება, რომ ლათინის წესისა, ქართველი კათოლიკეები, რომელთაც აიძულებენ იყოლიონ მღვდლებად სომეხი-უნიატები, ასეთს უარზედ არიან. აიხსნება ეს იმითი, რომ სიძულილის გარდა სომეხ უნიატთა მიმართ, თვით სამღვდელოება უნიატებისა გაუნათლებელი და უვიცი ხალხია. საქართველოში არ არის არათუ სასულიერო კათოლიკეთა სემინარია, უბრალო სკოლაც-კი. მღვდელი—უნიატი იყვანს ხოლმე მოსამსახურედ ყმაწვილს, ასწავლის სომხურ წერა-კითხვას და საღმრთო წეს-რიგს. როცა წამოიზრდება ეს მსახური, მღვდელი მას უწოდებს კლირიკოსს (სომხურად ტირაცო). მერე დააქორწილებს და წაიყვანს სარატოვის ეპისკოპოსთან საკურთხევლად. ეპისკოპოსს არ ძალუძს გამოცდა კლირიკოსისა, რადგან ამან სხვა ენა არ იცის, ქართულისა ანუ სომხურის გარდა, ამიტომ აკურთხებს ხოლმე. ასეთის მღვდლების უნიატების რიცხვი შედარებით სამრევლოებთან ბევრია. ხშირად ერთს პატარა სოფელში, რომელშიაც მხოლოდ 20 კომლი მცხოვრებია, ჰბძანდება ორი ასეთი მღვდელი. რასაკვირველია, ორივენი თავიანთის ოჯახობით იძულებულნი არიან ისევე იშრომონ შინ თუ მინდორში, როგორც იმათი მრევლი ჰშრომობს; ამ უკანასკნელთაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმითი, რომ დილ-დილით სწირავენ ხოლმე ლიტურღიას უბრალო ქოხში. ცხადია, ასეთს პატარა სოფელს არ ძალუძს ააშენოს ეკკლესია და შეინახოს მღვდელი. არიან აქ ქალდეველნი—უნიატებიც, რომელთა შორის ვხედავთ ასეთსავე ამბებს. მერე ვის უნდა დაედოს ბრალი ასეთის უმწეო მდგომარეობისა კათოლიკეთა საქართველოში? ცხადია, რომ სარატოვის ეპისკოპოსებს. არც ერთი მათგანი მის დღეში არა ყოფილა საქართველოში, რათა გაეცნო და გამოეკვლია ადგილობრივი ყოველივე ვითარება საქმისა.

ყველა ისინი ისმენდნენ და ერწმუნებოდნენ განზრახ დამახინჯებულსა და სიმართლეს მოკლებულ ამბებს მღვდლებ-უნიატებისას. ვინც სცდილობს დამკვიდრებას სომხის ანუ ქალდეველთა უნიატობისას, ის ცუდ სამსახურს უწევს ამ ხალხს. ამათ კარგად ესმით, რომ ვიდრე იმათი სამღვდელოება დარჩება იმ ყოფასა და მდგომარეობაში, როგორშიაც ეხლაა, ხალხიც უმეცრების ნისლიდგან ვერ გამოვა.

კსენდზი იულიან დობკევიჩი“.

ტანს, სულ ერთია, ზაფხული იქმნება, თუ ზამთარი. (რა თქმა უნდა ტანი თბილს ოთახში უნდა დაიბანოს). მერე გამოიცვლის თეთრეულსა და ჩაიცვამს იმ ტანთ-საცმელს, რომელიც მთელ დღეს აცვია. ეგრედ წოდებული თბილი დილის „ხალათი“ არაფრად არის საჭირო, რადგანაც კაცს აზარმაცებს. თუ ვინიცობაა ჰაერზე ჰმუშაობს, საჭიროა თბილად ეცვას. ძლიერ სასარგებლოა მატყლის სათბუნებელი, რომელიც პირდაპირ ტანზედ უნდა ჩაიცვას კაცმა. ზაფხულობით ძლიერ კარგია ჩალის ქუდი. კისერი ღია უნდა იყოს. ვიწრო საყელო სისხლის მოძრაობას უშლის. აგრეთვე არ ვარგა კისრის შეხვევა: სითბოს ეჩვევა და ადვილად შესცივდება. ტანთსაცმელი არ უნდა იყოს ვიწრო, არც ფეხთ-საცმელი. ძლიერ თბილი ტანთ-საცმელი არ არის კარგი.

ტანს რომ შეიმოსავს კაცი, ოთახში ფანჯრები უნდა დაალოს, სულ ერთია, ზამთარია თუ ზაფხული. ეს აუცილებლად საჭიროა, რომ ოთახში ჰაერი გაიწმინდოს.

ამის შემდეგ საჭიროა საუზმე. სრულიად საკმარისია კაცმა დღეში სამჯერა სჭამოს. დილით, სადილად და ვახშმად. დილის საუზმე უნდა იყოს 7 საათზედ. ამ დროს ბევრი ჭამა საჭირო არ არის, არც დიდი მადა აქვს დილით კაცსა. საკმარისია ერთი ჭიქა ჩაი ან ყავა და ცოტა პური კარაქით. ჯანმრთელს კაცს დილით წყურვილი აქვს ხოლმე და პირის გამოვლების შემდეგ ერთი ჭიქა წყალი უნდა დალიოს. ნაშუადღევის 1 საათი საუკეთესო დროა სადილისთვის. ეხლა კაცს გაცილებით უფრო მეტი აქვს მადა და მომეტებული საჭმელიც არის საჭირო. რა უნდა სჭამოს კაცმა სადილად? მრავალ წიგნებსა და ჟურნალებში ათას გვარი საჭმელებია ჩამოთვლილი და ამდენივე დარიგება, ამ დარიგებას ჩვენ გზას აუქცევთ. უკეთესია, გონიერმა კაცმა თავისის გამოცდილებით იხელმძღვანელოს, რადგანაც ყველა შეატყობს, რომელი საჭმელი სწყინს და რომელი არა. ვიტყვით მხოლოდ, რომ სრულიად საკმარისია სამი თავი საჭმელი. წვენი, ხორცი, შემწვარი რამ და მწვანილი ან ბოსტნეული. ბევრის წყალის სმა სადილის დროს არ არის კარგი. ცოტა წითელი ან თეთრი ღვინო-კი სასარგებლოა.

ზოგი ამბობს, რომ სადილის შემდეგ ძილი ძლიერ სასარგებლოა, ზოგი-კი ამტკიცებს, ძილს სიარული სჯობიანო. არც ერთია კარგიო და არც მეორე—გვეუბნება ჰიგიენა. მოსვენება სადილს შემდეგ ისე, რომ კაცი თავისუფლად იჯდეს, ცოტა გადაწოლილი—ძილსაცა სჯობიან და სეირნობასაც. ორი საათის მოსვენება სადილის შემდეგ სრულიად საკმარისია. 3 საათიდგან 6 საათამდე შეუძლიან იმუშაოს, ცოტა ისეირნოს სუფთა ჰაერზე და 7 საათზე ივახშმოს. ვახშმად საკმარისია ერთი ნაჭერი ხორცი ცივად და ჩაი. საათის 10 ან 11 კაცს ძილიც მოუვა და დროც არის, თუ ადრე იღვიძებს. საწოლ ოთახში სუფთა ჰაერი უნდა იყოს. ზაფხულში შეიძლება ფანჯარა ღია იყოს, მაგრამ ის კი არა, რომელთანაც კაცსა სძინავს. უფრო უკეთესია, რომ ღია ფანჯარას თხელი ფარდა ჩამოაფაროთ. ზამთარში-კი შეიძლება ღია იყოს ფანჯარა მხოლოდ მეორე ოთახისა. თვით საწოლი უნდა იყოს კარგა განიერი, ასე 2 არშინი. საწოლი ისე უნდა იდგეს, რომ კაცს თავი კედლისაკენ არ ედვას. ფეხებში უნდა იდოს მუთაქა. საწოლ ქვეშ გაშლილი იყოს ხალიჩა. ამ გვარად მოწყობილ საწოლ ოთახში ძილი სასარგებლოა და სასიამოვნოა. თუ კაცს მოსვენებითა სძინავს, 7 საათის ძილი სრულიად საკმარისია.

◆ ◆

კვლავ უნაყოფო შრომა ბ-ნ ივ. როსტომაშვილისა.

ბ-ნ ივანე როსტომაშვილთან პოლემიკა ყოვლად შეუძლებელად მიგვაჩნია, ვინაიდგან ის მხარს უქცევს ფაქტებსა და „თამამად“ გადადის პირადულ კინკლაობაზედ. არსებითად ვერც ერთი საბუთი ჩვენი მისის ენციკლოპედიის შესახებ ვერ დაარღვია. ეს არ კმარა, ზოგიერთი განგებ არც-კი გაიხსენა. ჩვენ, მაგალითებრ, ვამბობდით, რატომ დაივიწყა ჩუბინაშვილი, რომლიდგანაც უხვად უღია მასალაო. ის ამბობს: ჩვენ ვიხსენიებთ ალ. ჭყონიასა და ჯანაშვილსაო. განა ჩუბინაშვილი ჯანაშვილია?!. ჩვენ ვამბობდით: ალხაზიშვილს და დარეჯანაშვილს იხსენიებს თანამშრომლებად და პროფ. ანდრეევსკის-კი, რომლის ლექსიკონიდგან სთარგმნის ენციკლოპედიას, არაო. ბ-ნი როსტომაშვილი ამბობს: შარშან განცხადებაში ესეც გამოვაცხადეო. ამას გონიერი კაცი იტყვის?!.

ქართული ენციკლოპედია ეხლა არ შესდგებაო. რატომ? პასუხს ტყუილად მოსძებნით რ—ს წერილში.

„ჯავახეთის აღწერაც“ დამიწუნა მე გახლავარმაო, და ამის გამო ძალიანა სწყრება. მერე ქებათა-ქებას ასხავს ამ შრომას. ცილის წამებაა! ჩვენ სრულიად არა გვითქვამს-რა „ჯავახეთის“ აღწერის შესახებ, ან რას ვიტყოდით, როდესაც ეს შრომა მისი არ გვინახავს.

მეგახლავარს პირადობა აქვს ჩემთანაო. ცილის წამებაა! თუ კაცია ამას დაამტკიცებს. როსტ—ს ჩვენ შევხვდებით ხოლმე წელიწადში ერთხელ, ან ორჯელ ქუჩაში. გამარჯობა... და ამით თავდება ურთიერთობა. მაშ საიდგან მოევლინა პირადობა?

„მეგახლავარმა“ მოწაფეებს ასწავლოსო. ჩვენ რომ გვინდოდეს პსევდონიმის გამოცხადება, ნუ თუ ვერ მოვახერხებთ?!

ეს საქციელი როს—სა დიდ უზდელობად უნდა ჩაითვალოს.

ხელს ვიღებთ როს—თან პოლემიკაზედ, ვინაიდგან ის დაპყრობილი ყოფილა განდიდების სენით და ასეთს კაცთან ლაპარაკი და მძინარესთან—ერთნაირია. გამოიღვიძებს და გკითხავთ: რაო? აი საბუთებიც. ბ-ნი ი. როსტომაშვილი სწერს ბ. ივ. პ. როსტომაშვილზედვე: „კვეხნით არ ვამბობ, ჩემს ბუმბერაზულს შრომას უნაყოფოს ეძახიან“ კვეხნით რომ ეთქვა, ნეტა მაშინ როგორი შრომა-ღა იქნებოდა?

„დამიმტკიცეთ, რომ ჩვენს დღევანდელს ყოფაში შესაძლებელია ქართულ-ენციკლოპედიურ ლექსიკონის შედგენა“. დამიმტკიცეთო... და აღარ გვაცლის დამტკიცებას და თითონვე ამბობს: „ხოლო, რადგან თქვენ ამას თავის დღეში ვერ დამიმტკიცებთო და სხვა. მაშ რაღა ველაპარაკოთ კერძოდ ბ-ნ როსტომაშვილს, როდესაც ის დარწმუნებულია, რომ მას ვერავინ და ვერაფერს ვერ დაუმტკიცებს.

ჩვენ არც გვინდოდა დაგვემტკიცებინა ბ ნ როსტომაშვილისათვის რამე, ამის შრომას არც არასოდეს ვიკისრებთ, ხოლო მკითხველებს დავუმტკიცეთ თუ არა მისის შრომის უნაყოფობა—ამისი განსჯა თვით მკითხველებისათვისვე მიგვინდვია.*).

მეგახლავარ

◆ ◆

სასამართლოს მატიანე

—

12 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის, სოფელ საჯავახოს მცხოვრების ირაკლი ქვინდრაძესი, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ 1898 წელს, 25 თებერვალს ვიღაც სხვა კაცის დახმარებით შუშა მოიპარა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურის შუშის საწყობიდგან და ამ ქურდობის დროს თან რევოლვერი ჰქონდა. ოლქის სასამართლომ გადასწყვიტა: ჩამოერთვას ქვინდრაძეს ყოველივე უფლება და უპირატესობა და გაგზავნილ იქმნას საპატიმრო რაზმში ერთის წლის ვადით. ბრალდებული ქვინდრაძე ამ განაჩენის შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა განასაჩივრა განაჩენი იმავე პალატისა, რომლითაც გამართლებულ იქმნა ქუთაისის პოლიციის მოხელე ახვლედიანი. ახვლედიანს ჰბრალდებოდა ფიცის გატეხა და სასამართლოს წინაშე განგებ ტყუილი ჩვენების მიცემა.

◆ ◆

გამოსადეგი ცნობა

დამტკიცებულია, რომ სისხლ ნაკლებ კაცისათვის მეტად სასარგებლოა ქათმის სისხლის სმა. სისხლი სულ ახალი უნდა იყოს. ავადმყოფმა პირველად დღეში უნდა დალიოს 4—6 კოვზი (სადილისა) და მერე თანდათან უმატოს, ვიდრე ნახევარ ჭიქამდე.

◆ ◆

მადლობის გამოცხადება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო ქ-ბ-ნის მარიამ კიკნაძისა და ბ-ნ ერეკლე ბაქრაძისაგან ას-სამოც-და-სამი მან. და ცხრა კაპ., რომელიც მათ შეუგროვებიათ ქ. ყვარში საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდგან.

გამგეობა უღრმესს მადლობას უძღვნის როგორც ქ-ბ-ნს კიკნაძეს და ერეკლე ბაქრაძეს, ისე იმათ, რომელთაც ამ ფულის მოგროვებაში მიიღეს მონაწილეობა.

◆ ◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 ივნისი

მადრიდი. ოფიციალური დეპეშა, გამოგზავნილი სანტ-იაგოდგან: „გუშინ, დილის 8 საათზე, დაგვიწყეს ბრძოლა. მტერი ყოველ ღონისძიებასა ხმარობს პუნტაბერრაკოს გადმოსხას ჯარი“.

ჰავანიდგან მოსულ ოფიციალურ დეპეშაში ნათქვამია, რომ მტერმა დაუწყო ყუმბარების სროლა სანტ-იაგოს. მტერი სცდილობს ჯარი გადმოსხას ბაიკვირსა და ბერრაკოს.

სერვერა იუწყება დეპეშით, რომ ამერიკელები გადმოსხდნენ გემებიდგან პუნტა-ბერრაკოს, სანტ-იაგოსაგან ჩრდილოეთისაკენ და დასძენს, რომ გემიდგან გადმოსულს ჯარს სხვა ჯარიც მივაშველეთ, რომ მტერს ვებრძოლოთ. სერვერა ამბობს, რომ საქმეთა ვითარება განსაცდელშიაო.

სამხედრო მინისტრმა მიიღო ოფიციალური დეპეშა. იუწყებიან, რომ 6 საათის სასტიკის ბრძოლის შემდეგ ბერრაკოზე თავ-დასხმული მტერი უკუქცეულ იქმნა.

მადრიდი. სანტ-იაგოს გუბერნატორი დეპეშით იუწყება, რომ ამერიკელები კარგა დაღამებამდე ებრძოდნენ სიბანესა და ბაიკვირის. მტერი ვერაფერს გახდა ვერსად, გარდა ბაიკვირთან, სადაც ესპანელები იძულებულნი შეიქმნენ ეს ადგილი დაეთმოთ. მტრის ჯარი გადმოვიდა ბაიკვირიდგან 9 კილომეტრის მანძილზედ. ესპანელნი დიდის წესიერებით წავიდნენ მთებისაკენ. დეპეშა დასძენს, რომ სოფლები სიბანე და ბაიკვირი მტრებმა სულ ერთიან გაანადგურა ყუმბარებით.

13 ივნისი

პეტერბურგი. მთავრობის მოამბეში დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი ბრძანებანი 50 წლის სამსახურისა გამო: სახელმწიფო საბჭოს წევრი გენერალ-ადიუტანტი ჩერტკოვი დაჯილდოვებულ იქმნას ანდრია პირველ-წოდებულის ორდენით; სახელმწიფო საბჭოს წევრი გენერალ-ადიუტანტი რიხტერი დანიშნულ იქმნას ყოფად ხელმწიფე იმპერატორის ამალაში. უმაღლესი რესკრიპტი ებოძა სახელმწიფო საბჭოს წევრს გენერალ-ადიუტანტს ობრუჩევს. სახელმწიფო საბჭოს წევრი ადმირალი ჩიხაჩოვი დანიშნულ იქმნას ციმბირის რკინის გზის კომიტეტის წევრად; წევრი სახელმწიფო საბჭოსი სტატს-სეკრეტარი მიშკონი დაჯილდოვებულ იქმნას ალექსანდრე ნეველის ორდენის ბრილიანტის ნიშნებით. მთავარ შტაბის ნიკოლოზის აკადემიის უფროსი ლეერი დაჯილდოვებულ იქმნას ალექსანდრე ნეველის ორდენის ბრილიანტის ნიშნებით.

ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრს გენერალ-ლეიტენანტს განს ებოძა ჩინი გენერალ იაფანტერიისა.

ხელმწიფე იმპერატორმა, მიაქცია რა მოწყალე ყურადღება მოქმედებას მთავარ შტაბის უფროსად ნამყოფის გენერალ-ადიუტანტის ობრუჩევისას, რომელმაც მოაწყო საქმე სახელმწიფოს დაცვისა საზოგადოდ და განსაკუთრებით მოაწყო ზღვის სიმაგრენი რუსეთის სატახტო ქალაქისა, ბრძანა დაერქვას გენერალ ადიუტანტის ობრუჩევის სახელი კრონშტანტს ერთს სიმაგრეს.

გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება—ნება მიეცეთ სააქციონერო საკომერციო ბანკებს და საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათ გაასესხონ ფული სოფლის მამულების პატრონებს ხოლო-ვექსილით. (ისეთის თამასუქით, რომელზედაც მხოლოდ ერთს-მსესხებელს უწერია ხელი).

კალუგა. აქ იუსტიციის მინისტრი მოვიდა.

ქრისტიანია. აქედგან წავიდა ექსპედიცია სვერდრუპისა ჩრდილოეთისაკენ გემით, რომელსაც სახელად ეწოდება „ფრამი“. ექსპედიცია გააცილა ნანსენმა და დიდ ძალმა ხალხმა.

პარიჟი. თუ დელომბრმა ფინანსთა მინისტრობა იკისრა, კავენიაკი სამხედრო მინისტრობას კი სრულობს.

ვაშინგტონი. ჰფიქრობენ, ამ ჟამად დიდი ბრძოლა დაიწყო შაფტერსა და ესპანიელთა შორის. სამი საათია, რაც გვანტანამასა და ვაშინგტონს შუა ტელეგრაფი აღარ მუშაობს.

მადრიდი. პალატა. ფილიპინის შესახებ ცხარე კამათის შემდეგ აუნონი იცავს ფლოტს და ეწინააღმდეგება გაკიცხვას, რომელიც გამოწვეულია იმ სიტყვებით, რომლებიც უთქვამს მას ჟურნალისტებისათვის. აუნონმა განაცხადა, რომ კამარას ექსპედიცია ფილიპინისაკენ მიდისო. სალმერანს უნდა უპასუხოს, მაგრამ პრეზიდენტი აცხადებს რომ კამათი გათავდაო. სალმერონი სთხოვს პრეზიდენტს, პირობა მოგვეცი, რომ კამათი ხვალ განიგრძობა; თუ არა და პარლამენტის უფლებანი დარღვეულ იქმნებიანო. საგასტამ შენიშნა, რომ მარტო ეგ სიტყვები საკმარისია, რომ ხვალ კამათი მოისპოსო. სალმერანი ამბობს: „ეგ საოცარი ძალადობაა... მონარქიაა... ორატორს ლაპარაკს აწყვეტინებენ ყვირილით. ასტყდება ხმაურობა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პალატა საიდუმლო კრებას მოახდენს შინაგან საქმეთა განსახილველად.

პალატის დერეფანში შემდეგი ამბავი მოხდა. დეპუტატმა სამპერმა სთქვა, როგორ არ შერცხვათ რესპუბლიკელებს, რომ ნება დართეს პალატისა დაშლისა, ვიდრე კრებამ არაფერი გადასწყვიტა ისეთი, რომ ქვეყნისათვის სარგებლობა ჰქონოდეს. სამპერი წაიყვანეს პრეზიდენტთან ამ სიტყვების განმარტებისათვის.

პარიჟი. კავალერიის კაპიტნად ნამყოფი რეინაკი წარსდგა გამომძიებელ სასამართლოს წინაშე. რეინაკმა წარუდგინა სასამართლოს დილით მიღებული კორნვალისიდგან წერილი კონიბირისა, რომელიც აცხადებს, მარტო მე ვარ ავტორი „Natin Bevne“-ში დაბეჭდილ წერილისაო. უტყუარ საბუთების ძალით კონიბისი ამტკიცებს, რომ პოლკოვნიკი შვარცკოპენი თვეში 2.000 რანკს აძლევდა მაიორს ესტერგაზის, რომელიც აძლევდა სამაგიეროდ საჭირო ქაღალდებს და თვით ესტერგაზის მიერ დაწერილი ქაღალდები ხელთა აქვს შვარც-კოპენსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივნისი

	მყიდველისა.	გამყიდველისა	გამრიგებლისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	$216^{3}/_{4}$
$4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „	— „	$100^{1}/$
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	100	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	— „	— „	— „
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	$100^{1}/_{2}$	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	— „	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	$100^{1}/_{4}$	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	$284^{1}/_{2}$	— „	— „
5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი	— „	— „	247

---

*) ამითი ვსპობთ ყოველსავე პოლემიკას ამ საგნის შესახებ. რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Іюня 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.